ISSN 1987-5134

# საბავშვო კარუსელი




## ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი,
წარადგინე „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და
მიიღე წიგნი
ფასდაკლებით

საბავშვო კარუსელი




ვაუჩერი ძალაშია
10 ივნისიდან
16 ივნისის ჩათვლით

ერთდროულად
წიგნიც არის და
ყულაბაც

~~14 ლარი~~

6.99 ლარი


შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი

22

10 ივნისი, 2016 წელი
გამოდის პარასკეობით
ფასი 2 ლარი

www.facebook.com/საბავშვო-კარუსელი

# ერთგული მეგობრები

ყველა სიტყვის ბოლო ასო სიტყვის თავში გადაიტანე და დინოზავრისა და ბიჭუნას საუბარი ამოიკითხე.

ენშ ომხ ეთილიკ ინოზავრიდ არხ?

იკ, უმცათ ალიანძ იდიდ ად ლიერიცძ არვ,

ომხ რა ემაშინებშ?

რაა, ხოლოდმ აგიცავდ,

ენშ ემიჩ ეგობარიმ ქნებიი.



იპოვე ჟურნალის ფურცლებზე გაბნეული ეს დინოზავრები.



# იპოვე ფრაგმენტები

ეს ფრაგმენტები დიდ ნახატზე იპოვე, მათგან რამდენი არ არის ნახატზე?





# კეთილი დინოზავრები

მულტფილმი „კეთილი დინოზავრი“ ალბათ, ბევრ თქვენგანს უნახავს. სიკეთისა და მეგობრობის ძალიან კარგმა ამბავმა ბავშვები და უფროსები ერთნაირად მოხიბლა და აატირა კიდეც. პატარა ჭენრისა და დინოზავრ არლოს მეგობრობის ფონზე ამ მულტფილმის მაყურებლები დინოზავრების საოცარ სამყაროში მოგზაურობენ, მოდით, ჩვენც ვიმოგზაუროთ.



არლო სინამდვილეში ბრონტოზავრია;



არგენტინოზავრი;

ამბობენ, დინოზავრები მილიონობით წლის წინ ცხოვრობდნენ და დედამიწის ერთ-ერთი პირველი ბინადარი ცხოველები იყვნენო. მათ შორის, უმრავლესობა, მტაცებელი და საკმაოდ საშიში იყო, თუმცა, იყვნენ კეთილი, მშვიდობიანი დინოზავრებიც, რომლებზეც მტაცებლები ნადირობდნენ ხოლმე.



იგუანადონი;

არლოც კეთილ დინოზავრებს მიეკუთვნება, ის ბრონტოზავრია, ან როგორც ახლა უწოდებენ მეცნიერები — აპათოზავრი. ის ბალახისმჭამელი დინოზავრია და არავის ერჩის.

არლოს მეგობრებს შორის, მულტ-ფილმში კიდევ ჩნდებიან მშვიდობიანი დინოზავრები, რომლებიც მას და ბიჭუნას ეხმარებიან. მაგალითად – სტირაკოზავრები.


სტირაკოზავრი;

ბალახისმჭამელი დინოზავრები;



ბალახისმჭამელი და არამტაცებელი დინოზავრები იყვნენ ასევე ანკილოზავრები, დიპლოდოკები, ტრუცერაპტოსები, იგუანადონები, არგენტინოზავრები და ა.შ.


ანკილოზავრი;

დინოზავრების გადაშენების ძირითადი მიზეზი იყო გარემოსა და კლიმატის გართულება და მკვეთრი შეცვლა. დინოზავრების ნაშთები დღემდე გვხვდება ყველა კონტინენტზე. საქართველოშიც, კერძოდ სათაფლიაში, შემორჩენილია ცარცული პერიოდის დინოზავრების გაქვავებული ნაკვალევი.


ბრაქიოზავრი.

# გამოცანვორდი




**1** ანადგურებს ფესვის
მავნე მწერთა ურდოს,
ქვებუდანი მუდამ
ბოსტნის კვალქვეშ ბუდობს,
იმერეთში ამ ბრმას
ეძახიან მუდოს;

**2**
თუ დაწვება,
ვერ ადგება,
ღამეს ფეხზე
ძილით ათევს,
პირში რქები ამოსვლია,
რასაც ვაწვდით,
ცხვირით გვართმევს;



წყალში ცურავს **3**
თევზივით,
ველზე დადის
კაცივით,
კლდეზე ცოცავს
ხვლიკივით,
კვერცხებზე ზის
ბატივით;

**4**
ერთი შეხედვით, კატას ჰგავს:
ყურები აუცქვეტია;
მოშიშარია, ცახცახებს,
მიხტის და მოხტის... ცეტია;

**7**
შინ ჭია-მატლი თუ არი,
კარს უკაკუნებს სტუმარი;

**8** ზაფხულში თქვლეფს
ათ კილო თაფლს,
ზამთარში კი
თათს ილოკავს;

ის რომელი ცხოველია,
ჩუმად რომ დაიარება,
კატის კნავილს თუ გაიგებს,
იმწამსვე დაიმალება?
**9**

**5** ტურა-მელას კარგად ვცჯი,
მგელსაც ვალში არ დავრჩი,
ვარ პატრონის ერთგული
და უთოფო დარაჯი;



**6** წყალში ზის – თევზი არ არის,
ბალახს ძოვს – ძროხა არ არის;

**10**
წვერი აქვს, კაცი არ არის;
ბალახს ძოვს, ცხენი არ არის;
რქები აქვს, ხარი არ არის;





11 ხის ტოტებზე დარბის, დახტის,
გაჩერებულს ვინ ნახავს?
თხილს და კაკალს აგროვებს
და ზამთრისთვის ინახავს;

12 ხეს ატარებს თავით,
დადის, დარბის, ბღავის...
ხე არ ისხამს ნაყოფს,
ფოთოლსა და ყვავილს;

13
შვენის ციცქნა რქები და
სამოსი ჭრელი,
ფეხები აქვს მოკლე,
კისერი კი – გრძელი;



15
ბნელში თვალებით
ანათებს,
კისერი გაშეშებია,
ტყე-ტყე დაძრწის და
ძაღლსა ჰგავს,
საძიძგნად
კამეჩს შეჭბმია;

14 თავხერხა, ბოლონამგალა,
დაჭყვება მთელი ამალა;

16 ვარიებს რომ იპარავს,
აბა რა სათქმელია,
არც თაგუნებს ახარებს,
თქვი, რა ჰქვია?







# ჩემი პირველი ენციკლოპედია

8-დან 15 ივნისამდე
ყოველ ოთხშაბათს

შეაგროვე
16 წიგნი, 256 სტიკერი და
სტიკერების დიდი წიგნი
სპეციალურ ყუთში

შეაგროვე
გაერთე
ისწავლე

წიგნის
სპეციალური
ფასი
3 ₾



სპეციალური ყუთი

სტიკერების დიდი წიგნი



სპეციალური ყუთის, პირველი წიგნის და სტიკერების
დიდი წიგნის შეძენა შესაძლებელია პრესის
გავრცელების ჯიხურებში 13.99 ლარად

სერიის ყველა წიგნი

1 ძუძუმწოვრები
2 დინოზავრები
3 პლანეტა დედამიწა
4 ფრინველები
5 რეპტილიები
6 თევზები და ამფიბიები
7 მწერები და უხერხემლოები
8 ფლორა
9 ზღვები და ოკეანეები
10 ვულკანები და მიწისძვრები
11 დიდი გამოგონებები
12 მიწიერი სამოთხეები
13 მკვლევრები
14 მდინარეები და ტბები
15 მთები და ტყეები
16 გარემო

NATIONAL GEOGRAPHIC-ის ბოლო ათწლეულში დაგროვილი ფოტომასალა და
ფაქტები სრულყოფილად გაგაცნობთ ჩვენი პლანეტის ფლორასა და
მიწიერ სამოთხეებს, ეკოლოგიურ პრობლემებსა და მათთან გამკლავების გზებს.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

www.palitral.ge Palitra.L.Publishing

პალიტრა L

# რობოტვორდი



1. ხილის მაგარი ნაწილი, რომელსაც ვაგდებთ;
2. მხტუნავი მწერი;
3. მაუგლის გამზრდელი მგელი;
4. ძაღლის ჯიში;
5. სახურავის ბინადარი ...;
6. მეომარი კუ ...;
7. ადამიანის მეგობარი ცხოველი;
8. „მეხუთე ელემენტის“ უცხოპლანეტელი ქალი;
9. ერთ-ერთი ფერი;
10. გარეული თხა;
11. ასე ეძახიან „ვინქსის კლუბის“ გოგონებს;
12. სახლი კორპუსში;
13. იაპონური მულტფილმი მამაც ბიჭუნაზე;
14. სადღესასწაულო ნამცხვარი;
15. მულტფილმი „ნორჩი ...“;
16. მამლის თავს ამშვენებს;
17. „მეფე ...“;
18. კევინი და ბობი მულტფილმიდან ...;
19. კარლსონის მეგობარი.

# თაგუნიას იუბილე

თაგუნიას დაბადების დღე აქვს და დედა თაგვმა სუფრა გაუშალა.
დააკვირდი ნახატს და გადაფურცლე მომდევნო გვერდზე.



# თაგუნიას იუბილე

რა შეიცვალა ნახატზე? აღმოაჩინე ცვლილებები და გააფერადე ნახატი.



# მხიარული სამზარეული



## ჟირაფი



**საჭირო მასალა:**

1 პორცია სპაგეტი;
2 სადილის კოვზი საწებელი;
1 შავი ზეთისხილი;
მწვანე, ბულგარული წიწაკა;
ოხრახუშის ღერო;
ნუში ან მიწის თხილი.



**1**

თეფშზე ისე განალაგე მოხარშული სპაგეტი, რომ ჟირაფის სილუეტი მიიღო, როგორც სურათზეა ნაჩვენები;

**2**



დარჩენილი სპაგეტით ტანი შეუვსე;

**3**



კონტურები ამოავსე საწებლით, შავი ზეთისხილის რგოლისგან თვალი გაუკეთე;

**4**



ოხრახუშის ღეროსგან კუდი გაუკეთე, ნუშით ან მიწის თხილით კი – ხალები;

**5**





ბულგარულ წიწაკას მოაჭერი პატარ-პატარა ნაჭრები (4 ცალი) და ჩლიქებისთვის გამოიყენე. სპაგეტის ნაკუწებით რქები გაუკეთე.

# ლექსები



## ეშმაკუნა

ვიჭერ ციცქნა სარკითა
კაშკაშელა მზის სხივებს,
ზარმაცს ღია ფანჯრიდან
ცხვირწინ ავუციმციმე,
თვალები რომ დაჭყიტა,
ვიცინე და ვიცინე.

*გივი ჭიჭინაძე*



## ფეხსაცმელი

– პირს შაშვივით რისთვის აღებ,
ფეხსაცმელო, რა გჭირს?
მითხარ, იქნებ კბილი გტკივა?
ყბას შეგიხვევ ნაჭრით,
შიმშილმა თუ შეგაწუხა,
მოგცემ რძეს და ნამცხვარს.
– არა, ბურთი ვითამაშე
და ძალიან დამცხა.

*გივი ჭიჭინაძე*

## ფისო-დიასახლისი

მზე როდესაც ამოვა,
ფისო დადგამს სამოვარს,

მერე ქადებს დააცხობს
და მაგიდას გააწყობს,

დაუძახებს კატუნებს,
კუდფუმფულებს, ხატულებს...

ჩაითა და ქადებით
საუზმობენ კატები.

*ვასილ გულეური*





## კარუსელი

აკრუსუნდა დათვის ბელი:
– მტკივა თავი, მტკივა წელი!
ნუ მოიტან, დედა ფიჭას!
პანტა-ვაშლსაც აღარ ველი.
წუხელ ბაღში მოიტანეს
საოცნებო, სანატრელი,
მაღლა, ცაში მობზრიალე
ბევრი, ჭრელი სავარძელი;
მინდა დავჯდე, მოვიარო
ტყე, ღრუბლები, მთა და ველი,
თუ მომარჩენს, თუ მიშველის –
მხოლოდ, მხოლოდ კარუსელი!

*მაია კარსელი*



# იპოვე სიტყვები

იპოვე ლაბირინთში გაბნეული ეს სიტყვები. გაითვალისწინე, სიტყვები შეიძლება კვეთდნენ ერთმანეთს, იკითხებოდნენ ქვემოდან ზემოთ, ზემოდან ქვემოთ, ჰორიზონტალურად და დიაგონალურად:

**სკოლა, მხეცი, სიზმარი, ბინა, მაგიდა, წიგნი, ანბანი, გმირი, თხა, ბელი, ვირი, ლახტი, ბურთი, პლუტო.**

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხ | წ | ს | ს | ი | ზ | მ | ა | რ | ი | წ | გ | ა | ს |
| ს | ჩ | ფ | ბ | ა | ფ | ფ | წ | ღ | რ | ლ | წ | ზ | დ |
| კ | ა | მ | ბ | ო | ა | ო | ბ | ა | ბ | მ | ი | გ | ა |
| ო | წ | ხ | ბ | ი | ფ | ხ | დ | კ | ი | ა | გ | ა | გ |
| ლ | ო | ე | ლ | ს | დ | ი | რ | ო | ნ | გ | ნ | ნ | მ |
| ა | ლ | ც | ა | ე | წ | ქ | ზ | ა | ა | ი | ი | ბ | ი |
| ი | წ | ი | ი | დ | პ | ა | ნ | ლ | ა | დ | კ | ა | რ |
| ქ | ა | ო | თ | უ | ლ | გ | ნ | ა | ო | ა | ჭ | ნ | ი |
| ს | ვ | ქ | ტ | კ | ფ | ა | ფ | ი | ს | ქ | კ | ი | მ |
| ი | ა | ა | რ | რ | ვ | ჰ | ტ | პ | ბ | ა | ს | წ | ჭ |
| რ | ე | რ | ი | ი | თ | ხ | ა | ე | ლ | უ | ლ | წ | ხ |
| ფ | ა | ი | რ | ჰ | ა | პ | ო | წ | ქ | უ | რ | ი | პ |
| წ | ჯ | ი | ხ | ლ | ნ | ზ | ფ | უ | ლ | ო | ტ | თ | ა |
| ხ | ი | დ | ა | წ | ზ | ტ | კ | ჭ | ჰ | რ | დ | ო | ი |

პასუხები იხილე გვ. 28

# იფიქრე ლოგიკურად

ეს ცხოველები გამუდმებით მტრობენ ერთმანეთს. მათ გარშემო წრე სამ ნაწილად ისე გაყავი, რომ ცნობილი მტრები ერთმანეთისგან გამოყოფილნი იყვნენ.





ამ ფიგურებიდან იპოვე ერთი, ყველასგან გამორჩეული და ახსენი, რით განსხვავდება ის დანარჩენებისგან.



# სახალისო მათემატიკის ტესტები წიგნიდან




თანმიმდევრობით მიუწერე პილოტების სახელები ფინიშთან სიახლოვის მიხედვით:




პირველი .................... მესამე .................... მეხუთე ....................

მეორე .................... მეოთხე .................... მეექვსე ....................

გამოიანგარიშე და დაუკავშირე თითოეული მოქმედება შესაბამის ნახატს.

$1 + 4 + 2 =$ ...........

$6 + 2 =$ ...........

$5 + 4 =$ ...........







დაასრულე მოქმედებები გამოტოვებული რიცხვების დახმარებით.



$5 + 5 =$ ...........

$6 +$ ...... $= 10$

$3 +$ ...... $= 10$

$4 +$ ...... $= 10$

# თამაში: „მხიარული

სტარტი

ფინიში



ყოჩაღ, შენ გაიმარჯვე!

სამუშაო რვეული დაგავიწყდა, დაბრუნდი 1 ნაბიჯით უკან.

ზურამ მეგობრები დაარწმუნა, შაბათს მასთან ერთად წასულიყვნენ ხელოვნების აკადემიაში, მაგრამ მათ ავტობუსზე დააგვიანეს. სცადე, იქნებ შენ მოასწრო პირველმა მისვლა.

თამაშში მონაწილეობს ორი ან მეტი მოთამაშე.

დაალაგეთ სტარტზე ფანტები. აირჩიე ციფრი მითითებული წესის მიხედვით და დაიწყეთ სვლა. შეასრულეთ უჯრებში ჩაწერილი მითითებები. გაიმარჯვებს ის, ვინც პირველი მივა ფინიშთან.

თვალები დახუჭეთ და რიგრიგობით დაადეთ თითი ბადეში მოცემულ ციფრებს.

| | |
|---|---|
| 1 | 2 |
| 3 | 4 |
| 5 | 6 |

ავტობუსზე დაგაგვიანდა, დაბრუნდი სტარტზე.



შენ მიაღწიე საჭირო ავტობუსამდე, დაწინაურდი 2 უჯრით.

# რბოლა

ჰკითხე გზა მასწავლებელს, დაწინაურდი 2 უჯრით.

ხელოვნების აკადემია ახლოსაა, მაგრამ შენობაში დაიკარგე, 1 ნაბიჯით უკან დაბრუნდი.



ავტობუსიდან შორს ხარ, მაგრამ ფანქრები გუბეში ჩაგიცვივდა. 1 ნაბიჯით უკან დაიხიე.

დაღლილი ხარ, წუთით შეისვენე, გამოტოვე სვლა.

დადე ჩანთა და გამოტოვე სვლა.



# ზღაპრობანა

რომელი ზღაპრიდანაა ამ ნახატების უმრავლესობა?









დაასახელე ზედმეტი ორი ილუსტრაციის ზღაპრები.





# გააფერადე





# გზად კოსმოსისკენ

2138 წლის ერთ მშვენიერ დილას, კოსმოსურ ხომალდზე, სამყაროს გამოსაკვლევად, ცხოველების ჯგუფი ავიდა. აქ იყო ჟირაფი, რომელსაც კისერი ტკიოდა, ზებრა, რომელიც შავ-თეთრ მსოფლიოზე ოცნებობდა, კალია, ზებუ და კენგურუც კი, რომელიც ცნობისმოყვარეობის გამო მოხვდა ამ ჯგუფში, რადგანაც ნამდვილად არ ედო თვალები ჩანთაში.

მეგობრებმა სურსათი მოიმარაგეს და დედამიწა ისე დატოვეს, რომ კარგად არც კი იცოდნენ, სად მიდიოდნენ. ჰოდა, იღბალსაც არ ეძინა...

პირველი პლანეტა, რომელზეც ამ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა შეისვენა, მთვარე გახლდათ. კალიისა და კენგურუსთვის ეს ადგილი პირდაპირ მისწრება იყო, თავს ისე მსუბუქად გრძნობდნენ, რომ თითოეული ნაბიჯი გიგანტურ ნახტომად ეჩვენებოდათ. ამიტომ, ამ ორმა მეგობარმა მთვარეზე დარჩენა გადაწყვიტა ნახტომების სრულყოფისა და ჰაერში ფრენის გაუმჯობესების მიზნით. ხომალდზე სამნიღა დარჩნენ.

კოსმოსურმა ხომალდმა კიდევ მილიონობით კილომეტრი იფრინა სინათლის სიჩქარით და ბოლოს, ერთ პლანეტაზე დაეშვა, სადაც ერთი უცნაური არსება ბინადრობდა. მას რვა ხელიება და დღედაღამე ქსოვდა. მის ირგვლივ იცდიდნენ შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულები და მოთმინებით ელოდნენ თავიანთი დაკვეთის შესრულებას. ზოგი თორმეტთითიანი ხელთათმანით ბრუნდებოდა შინ, ზოგი ყელსახვევით, ან კიდევ პომპონებიანი ანტენების დამცავით.

ჟირაფმა მაშინვე დაიკავა რიგი, იგი თანახმა იყო, ეცადა, რამდენიც დასჭირდებოდა – ოცნებობდა, გრძელი შარფი ჰქონო-



და, რათა მტკივანი კისრისთვის შვება მიეცა.
ასე რომ, ხომალდი მის გარეშე აფრინდა.
მალე, იგი ახალ პლანეტას მიუახლოვდა, მაგრამ როცა დაშვება დაიწყო, უეცრად ყველა მრიცხველმა ნული აჩვენა.

ძრავა აფეთქდა, ხომალდი მალაყებს გადავიდა და კატასტროფულად დაეშვა ძირს. როცა ბოლი ოდნავ გაიფანტა, კაბინიდან ოდნავ რეტდასხმული, მაგრამ უვნებლად გადარჩენილი ზებრა და ზებუ გამოვიდნენ.

— ზეთილი იყოს ზვენი ზობრზანება ზიტრონიკზე, ასო ზ-ს სამეფოში! — ზუზუნებდა მათ შესახვედრად მოსული უცნაური არსება.

მეგობრებმა ღიმილით გადახედეს ერთმანეთს, ირგვლივ ნაზად ქროდა ქარი ზეფირი, რომელიც იქაურობას აგრილებდა, ხოლო მზე ცის თავანზე იდგა. გზები ზიგზაგებად ზიზილებით მოჩითულ მინდვრებზე მიიკლაკნებოდა. იქაური, მომხიბლავი „ზოზოები“ საყვარლად ზუზუნებდნენ, ბზუოდნენ და ზიმზიმებდნენ...

## ნამდვილად გააფრენდა კაცი!

— ჩემო ზუ! — უთხრა ზებრამ ზებუს, — აქ ჩვენ ისე ვიგრძნობთ თავს, როგორც შინ.

და როცა თვით ზორო მოვიდა საკითხავად, — სად აპირებთ ცხოვრებასო, მიუგეს, — რა თქმა უნდა... ზოოპარკში გვირჩევნიაო!

*ზღაპარი გადმოტანილია „პალიტრა L“-ის წიგნიდან „საღამოობით საკითხავი ლამაზ-ლამაზი ამბები“*





# ყველაზე

ამ სამი არსებიდან, სინამდვილეში, რომელია ყველაზე დიდი?
გააფერადე სამივე მათგანი.



ერთიანით აღნიშნული ყველა ბურთულა ყვითლად გააფერადე, ორიანით – ცისფრად,
სამიანით – მწვანედ, ოთხიანით კი – ლურჯად.

3 2 4 3 1 4 1 2 4 3

ზუსტად ასეთი თანმიმდევრობით განაგრძე წრეების ხატვა უჯრების ბოლომდე.





# პატარებისთვის

იპოვე ნახატზე უფრო დიდი ზომის ვაშლები.

ხეზე მოსხმული ვაშლები ყვითლად გააფერადე, ხიდან ჩამოყრილები – წითლად, ხოლო ლანგარზე დაწყობილნი – მწვანედ.



რა არსება დგას სახლთან?

რა არსება იყურება სახლიდან?

სახლი უფრო მაღლა დგას თუ ვაშლის ხე?

# გააფერადე






გააფერადე ვარსკვლავები



ვგიჟდები ფეხსაცმელზე, განსაკუთრებით კი ისეთზე, რომელსაც ძალიან მაღალი ქუსლი აქვს.

# გააფერადე



# შეამოწმე შენი ცოდნა





## 1. რა იყიდება „მწვანე“ აფთიაქში?



- ა სამკურნალო მცენარეები
- ბ ხეხილისა და ბოსტნეულის შესაწამლი მასალა
- გ მწვანე ჩაი

## 2. ვის შეუძლია ნებისმიერი ეროვნების ადამიანთან ლაპარაკი?



- ა მუნჯს
- ბ მსახიობს
- გ პედაგოგს

## 3. რომელია ქართული ხალხური ზღაპრის გმირი?



- ა ხარი წიქარა
- ბ დათვი ბალღუ
- გ ალადინი

## 4. სად არის დაკრძალული იაკობ გოგებაშვილი?



ა თბილისში

ბ ვარიანში

გ რუსეთში

## 5. როდის არის ზღარბი ბურთის ფორმის?



ა როცა ეშინია

ბ როცა შია

გ როცა დადის



## 6. რას ულოცავენ ქალბატონებს სამ მარტს?



ა დედის დღეს

ბ მასწავლებლის დღეს

გ დაბადების დღეს

## 7. რა უჩანს წყალში დამალულ ნიანგს წყლის ზედაპირზე?



ა თვალები

ბ კუდი

გ ზურგი

## 8. საქართველოს რომელ კუთხეში შეგხვდება ოდა სახლები?



ა ქართლში

ბ კახეთში

გ სამეგრელოში

ტესტი

# რამდენად კარგად იცნობ ქართულ მულტფილმებს?

რა დაემართა გუდა-გუდას, როდესაც მზემ გამოანათა?
ა) დადნა;
ბ) გაფრინდა;
გ) ჩიტად გადაიქცა.

რა არ ასწავლა აღმზრდელმა კატამ ლომის ბოკვერს მულტფილმიდან „ლომი და კატა“?
ა) ხეზე ასვლა;
ბ) ცურვა;
გ) ანდაზები.

რა ერქვა საზამთროს მომყვანს მულტფილმიდან „საზამთრო“?
ა) პავლე;
ბ) წუნა;
გ) სიზმარა.

ვინ გამოასწორა ბრაზიანი და უსაქმური ბომბორა მულტფილმიდან „ბომბორა“?
ა) გოგონამ;
ბ) მეეზოვემ;
გ) მეფანრემ.

ვინ მოიტაცა წუნა?
ა) ბოროტმა ბატონმა;
ბ) ჯადოქარმა;
გ) ლურჯმა მელიამ.

თუ შენს პასუხებში ჭარბობს:

ა ვარიანტი:
მიხარია, რომ ასე კარგად იცნობ ქართულ მულტფილმებს, მათგან ბევრ სიკეთეს ისწავლი.

ბ ვარიანტი:
ქართული მულტფილმები გინახავს, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდად არ დაინტერესდი, რაღაც-რაღაცები გერევა ერთმანეთში.

გ ვარიანტი:
ქართული მულტფილმებს არ იცნობ, გირჩევ, უყურო და მერწმუნე, ძალიან ისიამოვნებ.

# მხატვრის გვერდი

ამ ნახატებიდან რამდენიმე „ბიბლუსი ქიდს-ში“ გასართობად მისული პატარე-ბის დახატულია. თქვენც გაერთეთ „ბიბლუსი ქიდსში“, იქვე დახატეთ და საუკეთესო ნახატე-ბი ჩვენს ჟურნალში მოხვდება.


მაია ხუციშვილი, 8 წლის


გიორგი მურცვალაძე, 6 წლის



ლაშა ცერცვაძე, 8 წლის


ლაზარე დარბაიძე, 7 წლის


ლუკა მაისურაძე, 8 წლის


ელისაბედ ჯაჭვაძე, 8 წლის


ლიზი ჯაში, 6 წლის


თაზო თვაური, 7 წლის


დემეტრე დალაქიშვილი, 3 წლის


გიორგი თვაური, 4 წლის


დაჩი ლოლიშვილი, 5 წლის

## №22-ის პასუხები

**გვ. 6-7. გამოცანვორდი:**
1. თხუნელა; 2. სპილო; 3. პინგვინი; 4. კურდღელი; 5. ძაღლი; 6. ბაყაყი; 7. კოდალა; 8. დათვი; 9. თაგვი; 10. თხა; 11. ციყვი; 12. ირემი; 13. ჟირაფი; 14. მამალი; 15. მგელი; 16. მელია.

**გვ. 13. იპოვე სიტყვები:**



**გვ. 8. რობოტვორდი:**
1. კურკა; 2. კალია; 3. აკელა; 4. ლაიკა; 5. კარლ-სონი; 6. ნინძა; 7. ძაღლი; 8. ლილუ; 9. ლურჯი; 10. ჯიხვი; 11. ვინქსები; 12. ბინა; 13. ნარუტო; 14. ტორტი; 15. ტიტანები; 16. ბიბილო; 17. ლომი; 18. მინიონები; 19. ბიჭუნა.

**გვ. 26-27. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1-ა; 2-ა; 3-ა; 4-ბ; 5-ა; 6-ა; 7-ა; 8-გ.

**გვ. 30 სკანვორდი:** 1. პინოქიო; 2. პარაშუტი; 3. ქოლგა; 4. შანდალი; 5. ბალუ; 6. ბადმინტონი; 7. იხვი; 8. მიკი; 9. ცოცხი; 10. „ნამცეცა“; 11. ტარო.

კოლორი
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70

საბავშვო კარუსელი №22 (587)

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე:
www.elva.ge
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

# სკანვორდი


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
სიმინდის ყვავილედი
ჰანს კრისტიან
ანდერსენის ზღაპარი

# განსხვავებები

იპოვე ნახატებს შორის 5 განსხვავება.




წაიკითხე, გაერთე, ჩააკარი
ფერად- ფერადი სტიკერები წიგნში.





წიგნის
სპეციალური
ფასი 3ლ

თოვლის გუნდა და მისი მეგობრები
თქვენთან შესახვედრად ემზადებიან!





„თოვლის
დედოფალი"
წიგნი 9

13 ივნისიდან

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების
ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74
და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

პალიტრა L www.palitral.ge Palitra.L.Publishing

პალიტრა L

ვინქსები საქართველოში!

# ეს ყველასთვის ცნობილი კლუბია!

## ჯადოსნური ფერიების გაერთიანება, რომლებიც სამყაროს გადასარჩენად იბრძვიან.




- ბლუმი – დრაკონის ცეცხლის ფერია
- სტელა – მზის ფერია
- ტექნა – ტექნოლოგიის ფერია
- მუზა – მუსიკის ფერია
- ფლორა – ბუნების ფერია
- აიშა – ტალღებისა და წყლის ფერია













წაიკითხე, გაერთე, იფრინე და შეებრძოლე ბოროტ ძალებს ვინქსის კლუბის ფერიებთან ერთად!

**ამბების წიგნი**
6.95 ₾

**გასაფერადებელი**
7.95 ₾

**სტიკერების წიგნი**
9.95 ₾


იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ. www.palitral.ge Palitra.L.Publishing